

საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება

წინამდებარე პროგნოზი, მომზადდა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის მიზნით და წარმოადგენს 2018 წლის ბიუჯეტზე თანდართული და 2018 წლის ივლისის თვეში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პროგნოზის განახლებულ ვარიანტს.

ახალი პროგნოზი შედარებულია გასული წლის ბიუჯეტის პროექტზე თანდართულ ცხრილებთან. პროგნოზების განახლებისას განხორციელებული ცვლილებები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის უნიშვნელოვანესია ის, რომ პროგნოზებში გასული წლის მოსალოდნელი მაჩვენებლის ნაცვლად მოცემულია მათი ფაქტიური მნიშვნელობები, რასაც გავლენა აქვს მთელ საპროგნოზო პერიოდზე. თუმცა მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიებთან მოლაპარაკების შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების კორექტირება.

ცხრ.1. გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილებში შეტანილია 2017 წლის ფაქტიური მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს 2017 წლის

ცხრ.1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები						
	2017	2018	2019	2020	2021	2022
	ფაქტ.	მოსალო.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პოგნოზი	4.5%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%	
ახალი პროგნოზი	5.0%	5.0%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%
სხვაობა	0.5%	0.5%	-0.5%	-0.5%	-0.5%	6.0%
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პოგნოზი	5.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	6.5%	4.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	1.0%	1.0%	0.5%	0.0%	0.0%	3.0%
საპროცენტოგანაკვეთი სესხვნე, %						
წინა პოგნოზი	17.5%	15.5%	13.5%	11.5%	9.5%	
ახალი პროგნოზი	16.7%	15.7%	14.7%	13.7%	12.7%	11.7%
სხვაობა	-0.8%	0.2%	1.2%	2.2%	3.2%	11.7%
საპროცენტოგანაკვეთი დეპოზიტზე, %						
წინა პოგნოზი	8.4%	7.4%	6.4%	5.4%	4.4%	
ახალი პროგნოზი	8.8%	8.3%	7.8%	7.3%	6.8%	6.3%
სხვაობა	0.4%	0.9%	1.4%	1.9%	2.4%	6.3%

ფაქტიური მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. როგორც ვხედავთ ცვლილებები განიცადა მშპ-ს ზრდის 2018 წლის მოსალოდნელმა მაჩვენებელმა და 2019-2021 წლების საშუალოვადიანმა პროგნოზმა. ამასთან, დამატებულია 2022 წლის პროგნოზი. შეცვლილია ასევე, მშპ-ს დეფლატორის 2018 წლის

მოსალოდნელი მაჩვენებელი და 2019 წლის პროგნოზი. ასევე, ცხრილიდან ჩანს, რომ მონაცემების დაზუსტების გამო ცვლილებები განიცადა 2017 წლის მშპ-ს ზრდისა და მშპ-ს დეფლატორის ფაქტიურმა მაჩვენებელმა. შედეგად, შეცვლილია 2017 წლის ნომინალური და რეალური მშპ, რამაც ბუნებრივია, გავლენა იქონია მთელ საპროგნოზო პერიოდზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც ცნობილია, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისთვის იყენებს მოდელს. საწყისი პერიოდის მონაცემების ცვლილება და

ცხრ.2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება						
	2017	2018	2019	2020	2021	2022
(მილიონი ლარი)	ფაქტ.	მოსალო.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ნომინალური მშპ-ს წინა პროგნოზი	37,515.5	40,575.8	43,882.8	47,685.2	52,062.7	0.0
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	1,315.2	2,803.1	2,835.7	3,080.7	3,635.4	40,005.7
მთავრობა	14.7	-1.0	2.0	-5.0	-10.0	3,800.0
კერძო	1,300.6	2,804.1	2,833.7	3,085.7	3,645.4	36,205.7
ინვესტიციები	-127.5	-245.1	-723.7	-912.5	-1,391.6	23,425.0
მთავრობა	238.9	265.0	112.0	310.0	250.0	4,790.0
კერძო	-366.5	-510.1	-835.7	-1,222.5	-1,641.6	18,635.0
ესპორტი	211.3	2,759.3	4,427.3	4,597.0	4,787.2	36,980.5
საქონელი	-40.6	1,203.9	2,093.1	2,268.7	2,467.2	18,594.6
მომსახურება	251.8	1,555.4	2,334.3	2,328.3	2,320.0	18,386.0
იმპორტი	872.2	4,151.3	5,275.2	5,624.1	6,036.5	42,483.4
საქონელი	483.2	3,212.6	4,044.8	4,309.0	4,625.9	33,995.7
მომსახურება	389.0	938.7	1,230.4	1,315.1	1,410.7	8,487.7
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	526.7	1,166.0	1,264.1	1,241.2	994.5	57,927.8
ნომინალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	38,042.2	41,741.8	45,146.9	48,826.4	53,057.2	57,927.8

საწყისი ცვლადების კორექტირება გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე, რაც ასახულია მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

ცხრ.2. გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს ძველ და განახლებულ პროგნოზებს. ცხრილში მოცემულია როგორც საპროგნოზო მშპ-ს ცვლილება, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტის

სხვაობები წინა პროგნოზთან შედარებით. როგორც ვხედავთ, 2017 წლის ფაქტიური და 2018

წლის მოსალოდნელი მშპ-ს გავლენით, უმნიშვნელოდ, მაგრამ გაზრდილია ნომინალური მშპ-ს საშუალოვადიანი პროგნოზები.

რეალური მშპ-ს და მისი შემადგენელი კომპონენტების ცვლილებები მოცემულია ცხრილში 3. როგორც ვხედავთ, თავდაპირველი მონაცემებისა და ვარაუდების ცვლილების

ცხრ. 3. რეალური მშპ-ს ცვლილება	2017		2018		2019		2020		2021		2022	
	ფაქტ.	მოსალო.	ფაქტ.	მოსალო.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს წინა პროგნოზი	15,971.1	16,689.8	17,524.3	18,488.2	19,597.5	0.0						
ცვლილებები												
სამომხმარებლო ხარჯები	525.2	1,144.2	1,121.3	1,184.5	1,364.8	15,291.9						
მთავრობა	-0.6	-7.4	-6.2	-9.0	-10.9	1,452.5						
კერძო	525.8	1,151.7	1,127.5	1,193.5	1,375.7	13,839.4						
ინვესტიციები	-89.8	-140.9	-340.6	-411.5	-593.3	8,954.0						
მთავრობა	101.7	108.4	40.4	118.5	90.1	1,830.9						
კერძო	-191.5	-249.2	-380.9	-530.0	-683.4	7,123.1						
ექსპორტი	14.1	95.3	1,512.0	1,509.3	1,508.8	13,197.5						
საქონელი	-53.2	407.5	710.2	744.0	781.9	6,636.0						
მომსახურება	67.3	546.0	801.8	765.3	726.9	6,561.5						
იმპორტი	375.4	1,799.0	2,211.1	2,284.2	2,374.8	16,770.3						
საქონელი	200.7	1,390.7	1,692.9	1,747.3	1,816.7	13,419.8						
მომსახურება	174.7	408.3	518.3	536.9	558.1	3,350.5						
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	74.1	157.9	81.6	-2.0	-94.5	20,673.1						
რეალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	16,045.3	16,847.7	17,605.9	18,486.2	19,502.9	20,673.1						

გამო, 2018-2019 წლების საპროგნოზო რეალური მშპ ოდნავ აჭარბებს თავდაპირველ პროგნოზებს, ხოლო 2020-2021 წლების რეალური მშპ-ს პროგნოზები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩამორჩება მის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ არაერთგვაროვანი ტენდენცია აქვს რეალური მშპ-ს შემადგენელი

კომპონენტების ცვლილებას, კერძოდ, თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით იზრდება კერძო რეალური სამომხმარებლო ხარჯები, ხოლო მცირდება საინვესტიციო ხარჯების მოცულობა. ზრდადია რეალური ექსპორტიც და იმპორტიც. ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული საგადასახდლო ბალანსის კომპონენტების ცვლილება უცხოურ ვალუტაში.

მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ვარაუდების ცვლილება აისახება ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლებზეც. ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია ცხრილში 4. როგორც ვხედავთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები მომატებულია. საბიუჯეტო შემოსავლების

ცხრ. 4. ნაერთი ბიუჯეტი	2017		2018		2019		2020		2021		2022	
(მილიონი ლარი)	ფაქტ.	მოსალო.	ფაქტ.	მოსალო.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
შემოსავლების ძველი პროგნოზი	10,865.0	11,470.0	12,330.0	13,230.0	14,190.0	0.0						
ცვლილებები სულ	56.2	254.0	37.0	40.0	10.0	15,340.0						
გადასახდლები	38.9	240.0	0.0	0.0	-90.0	14,000.0						
გრანტები	-34.4	-41.0	-48.0	-50.0	-50.0	340.0						
სხვა შემოსავლები	51.6	55.0	85.0	90.0	150.0	1,000.0						
შემოსავლების ახალი პროგნოზი	10,921.2	11,724.0	12,367.0	13,270.0	14,200.0	15,340.0						
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი	11,220.0	12,145.0	13,100.0	14,030.0	14,974.0	0.0						
ცვლილებები სულ	288.3	299.0	248.0	370.0	365.0	16,625.0						
ხარჯები	49.3	34.0	136.0	60.0	115.0	11,835.0						
შრომის ანაზღაურება	-11.1	0.0	4.0	-5.0	-5.0	2,020.0						
საქონელი და მომსახურება	25.7	-1.0	-2.0	0.0	-5.0	1,780.0						
პროცენტი	-13.5	0.0	29.0	0.0	0.0	710.0						
სუბსიდიები	71.7	0.0	26.0	0.0	0.0	1,000.0						
გრანტები	-51.9	0.0	47.0	30.0	55.0	155.0						
სოციალური უზრუნველყოფა	13.9	10.0	-6.0	0.0	20.0	4,840.0						
სხვა ხარჯები	14.5	25.0	38.0	35.0	50.0	1,330.0						
არაფინანსური აქტივების ზრდა	238.9	265.0	112.0	310.0	250.0	4,790.0						
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	11,508.3	12,444.0	13,348.0	14,400.0	15,339.0	16,625.0						

პროგნოზების ცვლილება გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის პროგნოზის კორექტირებისგან და სხვა ფაქტორებისგან. კერძოდ, საწვავზე და თამბაქოზე აქციზის განაკვეთის მატების შედეგად აქციზის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში გაზრდილია. რადგან აქციზით იბეგრება მოხმარებული რაოდენობა და არა ღირებულება, ამიტომ

აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი არ იზრდება ნომინალური მშპ-ს პროპორციულად. იმის გათვალისწინებით, რომ არც აქციზური პროდუქციის მოხმარება იზრდება რეალური მშპ-ს პროპორციულად, აქციზიდან მისაღები შემოსავლების ზრდა რეალური მშპ-ს ზრდაზე ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური მშპ მცირედით აჭარბებს თავდაპირველ პროგნოზს, მშპ-ს ზრდის კორექტირების გამო, საგადასახადო შემოსავლები, 2021 წლისთვის, თავდაპირველ პროგნოზებზე მაინც ნაკლებია. ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზში ასახულია სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა. შემოსავლებისა და დაფინანსების წყაროების შესაბამისად, შეცვლილია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზებიც.

ცვლილებები განიცადა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პროგნოზშიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მომატებულია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის

საპროგნოზო მაჩვენებლები, თუმცა იმპორტის მატება აკარბებს ექსპორტის შესაბამის მაჩვენებელს, რასაც გავლენა აქვს სავაჭრო ბალანსზე. საპირისპირო დინამიკა აქვს მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლებს, რაც საქონლით ვაჭრობის დეფიციტის ნაწილობრივ კომპენსაციას ახდენს.

გაზრდილია ფაქტორული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა 2017 წლის პერიოდის ტენდენციებმა. მუხედავად იმისა, რომ უცხოელების მიერ ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი რეინვესტირების სახით უკან უბრუნდება საშინაო ეკონომიკას, იგი მაინც აისახება

მომდინარე ანგარიში	2017	2018	2019	2020	2021	2022
(მლნ აშშ დოლარი)	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
მიმდინარე ანგარიში მგელი პროგნოზი	-1,526.7	-1,560.3	-1,582.6	-1,546.2	-1,442.8	0.0
ცვლილებები სულ	210.6	-45.4	156.9	134.2	50.2	-1,335.1
საქონელი	-194.9	-766.3	-538.4	-557.2	-584.0	-5,855.9
საქონლის ექსპორტი	-30.1	445.4	572.2	613.0	658.5	7,070.2
საქონლის იმპორტი	164.8	1,211.8	1,110.6	1,170.2	1,242.5	12,926.1
მომსახურება	-62.8	226.7	296.8	248.0	189.8	3,763.6
მომსახურების ექსპორტი	85.4	583.5	658.7	632.8	600.4	6,990.9
მომსახურების იმპორტი	148.1	356.8	361.9	384.8	410.6	3,227.3
წმინდა ფაქტორული შემოსავლები	354.1	383.0	356.6	394.5	402.8	-863.7
წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	114.1	111.2	41.9	49.0	41.7	1,621.0
მიმდინარე ანგარიში აბალი პროგნოზი	-1,316.1	-1,605.7	-1,425.7	-1,411.9	-1,392.6	-1,335.1

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე და აუარესებს მას. თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა მიმდინარე ტრანსფერების სახით ქვეყანაში შემოდინებული სახსრების პროგნოზი მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით გაუარესებულია, თუმცა დეფიციტის ზრდა არ არის ისეთი, რომ უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის

მაკროეკონომიკურ განვითარებაზე.

კორექტირებულია მონეტარული მაჩვენებლების პროგნოზიც. 2017 წლის და მიმდინარე წლის გასული პერიოდის ტენდენციებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ 2018 წლის ფართო ფულის საპროგნოზო მაჩვენებელი გადააჭარბებს მის თავდაპირველ მნიშვნელობას. 2018 წელს ფართო ფულის პროგნოზი თავდაპირველ პროგნოზებზე მეტია,

(მლნ ლარი)	2017	2018	2019	2020	2021	2022
	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ფართო ფული M3 მგელი პროგნოზი	18,559.8	21,083.8	24,115.4	27,918.6	32,713.0	0.0
ცვლილებები						
წმინდა უცხოური აქტივები	112.1	269.2	616.9	851.0	1,120.2	4,536.5
უცხოური პატივები	616.8	795.4	1,176.0	1,294.7	1,425.3	20,323.1
უცხოური ვალდებულებები	504.8	526.2	559.1	443.7	305.1	15,786.6
საშინაო აქტივები	-255.6	551.1	46.0	-547.1	-1,297.3	33,425.7
მთავრობის წმინდა დავალიანება	-113.3	-111.3	-166.3	-386.3	-371.3	254.5
ეკონომიკის დანარჩენი სექტორის დავალიანება	52.9	1,024.8	583.6	218.4	-539.8	41,904.1
სხვა მუხლები წმინდა	-195.2	-362.4	-371.3	-379.3	-386.2	-8,732.9
ფართო ფული M3	-143.5	820.2	662.9	303.9	-177.2	37,962.2
ფართო ფული M3 აბალი პროგნოზი	18,416.3	21,904.0	24,778.3	28,222.4	32,535.9	37,962.2

თუმცა 2021 წლისთვის ფართო ფული თავდაპირველ პროგნოზებს 0.5%-ით ჩამორჩება. ცვლილებებია საბანკო სექტორის აქტივების შემადგენლობაშიც. იმპორტის მატების გამო, საბანკო სისტემას დასჭირდება უცხოური აქტივების ზრდა თავდაპირველ პროგნოზებზე მეტად, რის გამოც საბანკო სისტემას მოუწევს

გაზარდოს წმინდა უცხოური აქტივები. ფართო ფულის საერთო მოცულობის პროგნოზიდან გამომდინარე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად, საჭირო იქნება საშინაო აქტივების მართვა, რაც მოხერხდება მხოლოდ ეკონომიკის დანარჩენი სექტორის დავალიანების ხარჯზე, თუმცა 2018-2020 წლებში საჭირო არ იქნება მსგავსი ღონისძიებების გატარება. ასევე, განახლებული პროგნოზის პირობებში, კერძო სექტორის დავალიანების კორექტირება არ გამოიწვევს საკრედიტო ბაზრიდან კერძო სექტორის რეპრესირებას და საბანკო სექტორი შეძლებს კერძო სექტორის დაკრედიტებას ისე, რომ იგი უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.